№ 210. ოთხშაბათი, 28 მაისი. 1896—1897 ოთხშაბათი, 28 მაისი № 210.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

რადგან 16 მაისს ამ წლისა დანიშნული

საზოგადო წლიური კრება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი, თანახმად საზოგადოების წესდების 15 მუხლისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 თიბათვისათვის, კვირას, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.
2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1997 წლისათვის.
4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—3)

ადრესი: კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თავ. კ. ი. მუხრანბატონიშვილისა, № 6/1.

„შუამავალი“

ადებ-მიცემის მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფად სამარის გუბერნიიდგან მიღებული ხელით ნაქსოვი ჩალის ქუდები და კალათები.

აქვე იყიდება საუკეთესო ყინული, ჩაი გისოცკისა და გოცასა, და აგრეთვე ყოველ-გვარი სანოვაგე, სანელი, ხილეული, კონსერვები, ჩაი-შაქარი, არყები და ღვინოები—ადგილობრივი და საზღვარგარეთისა, პაპიროსი და თამბაქო და სხვა საყოველ-დღეო საჭირო საგნები. (5—1)

საკომისსიონერო კონტორა
მ. ვ. პრესმანისა

უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.

კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—106)

ტელეფონი № 346

ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и Ко. (100—56 წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.-იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. კ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

მთავრობის განკარგულება.

სასულიერო უწყებაში საქართველოს საექსარხოსოისა: ა) უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნენ: ორდენით წმიდა ვლადიმირის 4 ხარისხისა რექტორ.ი სემინარიის არხიმანდრიტი სერაფიმი; ქ. ელისავეტპოლის დეკანოზი სობოროსა მიხეილ მძინაროვი; ბ) ორდენით ანნას 2 ხარისხით—სუჯუნას წ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი სამეგრელო-გურიის ეპარხიისა თეოდორე ხოშტარია; გ) ორდენით ანნას 3 ხარისხით—ქ. ბაქოს სობოროს დეკანოზი ალექსანდრე ეუნიცკი; ინსპექტორი თ. სემინარიისა მღვდელ-მონაზონი გერმოგენი.

უწმიდესის სინოდისაგან დაჯილდოებულ იქმნენ ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს საქართველოს საექსარხოსო უწყების ეპარქიის სამღვდელონი: ა) დეკანოზის ხარისხით—ახალდაბის მთავარ ანგელოზის, ეკლესიის, გურია-სამეგრელოს ეპარხიისა, მღვდელი ნესტორ ალშიბაია; კარდის-უბნის ეკლესიის საქართველოს ეპარხიისა, მღვდელი ზაქარია მთვარელოვი, თბილისის უეზდის სოფ. ელისავეტინსკის პოსელენიისა მღვდელი დიმიტრი მახათაძე. ბ) გულის ჯვრით უწმიდესის სინოდისაგან ეკონომი საექსარხოსო სასახლისა მღვდელ-მონაზონი არისტარხე; თბილისის რკინის გზის ბლაღოჩინი მღვდელი იროდიონ ნანობაშვილი, თბილისის კალოუბნის მღვდელი მათე მონასელიძე; სიონის სობოროს მღვდელი გიორგი ასათიანი; შორაპნის უეზდის ს. სარკის ეკლესიის მღვდელი აბესალომ ტყემალაძე; ლეჩხუმის სოფ. ჟოშხას ეკლესიის მღვდელი ანტონ ქურციკაძე; საჩილაკო იროლის ეკლესიის მღვდელი იოანნე გრიგოლია; ბანძა მაური-კარის გურია-სამეგრელოს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ანტონ ბებელია; გ) კამილავკით: ქ. ბათომის სობოროს ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე სალცევიჩი; თბილისის მიხეილის საავადმყოფოს მღვდელი ვასილ კარბელოვი; კახეთის სოფ. ენისელის მღვდელი სიმონ ჯაჯანიძე; იყალთოს ეკლესიის მღვდელი იოანნე მრევლოვი; ოზაანის ეკლესიის მღვდელი იოსებ იაშვილი; ს. ჩრიკის ეკლესიის მღვდელი გრიგოლი კოკოევი; ლეჩხუმის ლაილაშის ეკლესიის მღვდელი რომანოზ გულბანი; სოფელ კანის შორაპნის უეზდისა მღვდელი იოსებ ტაბატაძე; რაჭის უეზდის სოფელ მოტკირის ეკლესიის მღვდელი ხარიტონ მიკაუტაძე; შორაპნის უეზდის სოფელ სვერის ეკლესიის მღვდელი ლენტორ წერეთელი; ქუთაისის უეზდის სოფელ სვირის ეკლესიის მღვდელი სიმონ ჯუღელი; ქუთაისის უეზდის ს. მაიდანის ეკლესიის მღვდელი სიმონ მიქაძე.

ახალი ამბავი

⁂ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება.** ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში დრამატიულ საზოგადოების კრების დროის დანიშვნის შესახებ შეცდომა მოგვივიდა. ეს კრება დღეს არის დანიშნული, საღამოს 7 საათზე, საადგილმამულო ბანკის დარბაზში.

იმედია, საზოგადოება ამ კრებას უეჭველად დაესწრება და სათანადო გულ-მტკივნეულობით მოეკიდება ამ საზოგადოების მოქმედების ანგარიშს. საზოგადოების ამ გულ-მტკივნეულობაზე იქმნება დამოკიდებული ჩვენის თეატრის მომავალი ყოფა.

⁂ **კომპოზიტორის ა. კორეშჩენკოს-მიერ ქართულის ხმების შეგროვება.** ჩვენი ძვირფასი სტუმარი პროფესორი მოსკოვის კონსერვატორიისა კომპოზიტორი ა. ნ. კორეშჩენკო, რომელიც მონაწილეობას იღებდა 24 მაისს ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერის ტენორის ი. კარგარეთელის-მიერ გამართულ კონცერტში, საქართველოში იმიტომ ჩამობრძანებულა, რომ ქართული ხმები შეჰკრიბოს და ნოტებზე გადაიღოს. რამდენიმე ხმა უკვე დაუკრა ნიჭიერმა კომპოზიტორმა როიალზე 24 მაისს და დამსწრე საზოგადოებას ისე მოეწონა, რომ „ვაშას“ და „ბისის“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ამ ზაფხულს ბ-ნი კოროშჩენკო სხვათა შორის გურიაშიაც აპირობს წაბრძანებას, რათა იქ შეჰკრიბოს ქართული ეროვნული ხმები. იმედია, გურულები ჩვეულებრივის გულუხვობით დაუხვდებიან და სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ ამ უცხო სტუმარს, რომელსაც სურს ჩვენი ეროვნული განძი ევროპას გააცნოს. სასურველია, ბ-ნს კორეშჩენკოს გურიაში, სხვათა შორის, ჩონგურზე დასაკვრელი ხმებიც გააცნონ, იქმნებ, ამ გზით სრულებით არ დაიკარგოს ეს ჩვენი ეროვნული საკრავი. ცნობილს კომპოზიტორს თან დაჰყვება ბ-ნი ხუნდაძე, სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა, რომელიც საჭირო ცნობებს აძლევს ბ-ნს კორეშჩენკოს.

⁂ **ქალაქის საავადმყოფო.** ამ ბოლოს დროს ქალაქის საავადმყოფოში იმოდენი ავადმყოფები მოჰყავთ ხოლმე, რომ ყოვლად შეუძლებელია ყველასათვის ადგილი იპოვონ. ამის გამო ქალაქის გამგეობას ბ. ტფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ, რაც შეიძლება, საჩქაროდ მიეცეს ნება გამგეობას გახსნას კუკიაში საავადმყოფოს განყოფილება და მით შეუმსუბუქოს საავადმყოფოს უკიდურესი მდგომარეობა.

⁂ **ხარფუხის საავადმყოფო.** დროებით დაკეტილი ქალაქის საავადმყოფოს ხარფუხის განყოფილება კვლავ გახსნეს ავადმყოფთათვის.

⁂ ფოსტა ტელეგრაფის უფროსსი განკარგულებით, ამიერიდამ მიხაილო-

ვის ფოსტის განყოფილებაში მიიღება და გაიგზავნება ხოლმე დეპეშებიც.

⁂ **ბეგლარ ამირჯანოვის კონცერტი.** დღეს, 28 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ბ. ამირჯანოვის კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ე. ვ. დე—ვოს—სობოლევისა და ნ. დ. კავალენსკისა. იმედია, ამ საინტერესო კონცერტს საზოგადოება ბლომად დაესწრება.

⁂ **ცხენის-რკინის გზის გამგ.** აქნობამდე ცხენის-რკინის-გზის ვაგონებს ქუჩა-ქუჩა აჩერებდნენ ხოლმე ყოველგან, სადაც-კი მოგზაურნი მოისურვებდნენ. ეს გარემოება „ტრამვაის „მმართველობამ საზარალოდ ნახა, რადგან ცხენებს აზიანებს ხოლმე წამ-და-უწუმ მოულოდნელად შეჩერება, და მიჰმათა გამგეობას შემდეგის თხოვნით: ნება მოგვეცით ვაგონების გასაჩერებლად ადგილები აღვნიშნოთ და მხოლოდ იმ ადგილებზე შევაჩეროთ ხოლმე ვაგონებიო; მმართველობას ამ თხოვნასთან ერთად აღუნიშნავს კიდეც ადგილები.

ქალაქის გამგეობას ეგ თხოვნა საგანგებო კომისსისათვის გარდაუცია, რომელსაც უკვე განუხილავს, თავის მხრივაც ორი ახალი ადგილი აღუნიშნავს და თავისი მოსაზრება წარუდგენია გამგეობისათვის; გამგეობა დასთანხმებია კომისსიას და თავის მხრივაც ერთი ახალი ადგილი აღუნიშნავს.

ამ ნაირად, ამიერიდამ ცხენის რკინის გზის ვაგონებს მხოლოდ აღნიშნულს ადგილებზე გააჩერებენ; ამ ადგილებზე დასმული იქმნება თუჯის ბოძები შესაფერისზედ-წარწერით და სადაც შესაძლებელი იქმნება ფარდულებსაც გამართავენ.

⁂ **ბეითალის შიო დედაბრიშვილის საჩივარი.** როგორც გაზ. „კავკაზ“-ი სწერს, ბეითალის ბ-ნის შიო დედაბრიშვილის ვექილს, ნაფიც ვექილის თანაშემწეს ბ-ნს გიორგი გვაზავას საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში საჩივარი შეუტანია—ტფილისის ქალაქის საბჭოს 28 აპრილის დადგენილება უკანონო იყო შესახებ იმისა, რომ ტფილისის ქალაქის საყასბოზე მომხდარნი შემაძრწუნებელნი ბოროტ-მოქმედებანი „დავიწყებისათვის მიეცათო“.

თავისს საჩივარში ბ-ნი დედაბრიშვილი ამბობს, რომ ადგილობრივს გაზეთებში და გამოძიების ქაღალდებში ჩემი სახელიც იყოვო მოხსენებული იმ უეჭველ დამნაშავეთა გვერდით, როგორებიც არიან: ქალაქის სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორი ექიმი სტეფანიანცი, გამგე ტფილისის საყასბოსი, აწ განსვენებული ბეითალი ისპანდარიანცი, საყასბოს მოსამსახურე ტერ-სიმონიანცი და ტრიხინიანის ხორცის გამსაღებელი არუთინიანცი. ეს გარემოებაო, ამბობს ბ ნი დედაბრიშვილი, იძულებულ მყოფს სამართალსა ვსთხოვო თვისი მიუდგომელი მსჯავრი დასდოს, თუ დანაშაული რამე მიმიძღვისო.

შ. დედაბრიშვილის ვექილი ბ-ნი გ. გვაზავა ამბობს საჩივარში, რომ ასეთის ბოროტ-მოქმედების გარჩევა და თავისის მსჯავრის დადება ტფილისის ქალაქის საბჭოს არ შეეძლოვო, უფლება არა ჰქონდაო. ბ-ნ დედაბრიშვილს არა ჰსურს საბჭოს მიერ გამართლებულ დამნაშავეთ ზურგს უკან ამოეფაროსო. ამიტომ, ვსთხოვ საგუბერნიო საკრებულოს, ეს დადგენილება საბჭოსი გააუქმოს და საქმე პროკურორს გადასცეს, რომ გამოძიება ხელ-ახლად დაინიშნოს სისხლის სამართლის წესდების ძალითაო.

იმედია, საგუბერნიო საკრებულო განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს ამ შემაძრწუნებელს ბოროტ მოქმედებას, რომელმაც, ვინ იცის, რამდენის ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა დ რომელზედაც მთელი ჟურნალ-გაზეთობა, ეს ერთი წელიწადია, ლაპარაკობს. და მიუხედავად ამისა, კულტუროსანთა ლმობიერმა და სულერძელმა საბჭომ 28 აპრილს გადასწყვიტა, ღირს-კია ამაზე ამდენი ვილაპარაკოთ, დამნაშავეთ ძილი დავუფრთხოთო! მოდი, „დავიწყებას მივსცეთო“. ამასა ჰქვიან, „კიდეცა სჭრის და კიდეც ჰკერავსო!“...

⁂ **ვინ უნდა გამოსცეს ლექსიკონი?** ამ ცოტა ხანში აღიძრა კითხვა ფრიად საგულისხმო საგანზე, რომელიც შეეხება ლექსიკონების გამოცემას. თუ რა მოთხოვნილებაა ეხლა ჩვენში ლექსიკონებისა არამც თუ თითო ოროლასათვის, არამედ მთელის ახალ თაობისათვის, ჩვენის ცხოვრების შეთვაყურისათვის მიგვინდვია, და რომ ერთად ერთი „ცოტა გვარიანი“ ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონიც აღარსად მოიპოვება გასასყიდი, ეს ხომ ყველასათვის ცხადია. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ზემო ხსენებული ლექსიკონი თუმც 3 მ. და 60 კ. ღირდა, მაგრამ ეხლა შვიდ-რვა მანეთსაც სიხარულით აძლევენ, თუ იშოვნეს სადმე. გასასყიდი „ცოტა გვარიანი“ თქო იმისთვის მოგახსენეთ, რომ მისი უცვლელად დაბეჭვდა საუნდა კიდეც ვინმემ იკისროს, მართალია, მთლად არაობას კი აჯობებს, მაგრამ სასურველი მაინცა არ არის, რადგანაც მისი დაწერის შემდეგ ჩვენი ენა შესამჩნევად შემუშავდა და ეხლანდელს მოთხოვნილებას ზემო ხსენებული ლექსიკონი ნახევრადაც ვერ დააკმაყოფილებს. მაშასადამე მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებლად საჭიროა დაიბეჭდოს ლექსიკონი, მაგრამ ლექსიკონი ყოველ მხრივ შემუშავებული, და დროისა და მოთხოვნილების შესაფერი. ეხლა კითხვაა: ვინ უნდა იკისროს ეს სერიოზული საქმე? შარშან ხმა დადიოდა, რომ მიაქცია რა ყურადღება წ. კ. საზოგადოებამ რუსულ-ქართული ლექსიკონის უქონლობას, განუზრახავს ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემა, რომლის შესასწორებლად კამისიის შედგენას აპირებსო; ეს რომ მართალი ყოფილიყო, პატივცემული საზოგადოება ეხლანდელ ლექსიკონების შესახებ კამათზე მაინც ამოიღებდა ხმას, მაგრამ, როგორცა სჩანს, იმედი გაგვიცრუვდა და წ. კ. საზოგადოებას აზრადაც არა ჰქონია მისი გამოცემა. ეხლა-კი კერძო პირები აპირებენ ამ სერიოზული საქმის ხელის მოკიდებას და, როგორც მოიქცევიან, ამას მომავალი გვაჩვენებს. მოგეხსენებათ, რომ პატივცემული ივანე როსტომაშვილი შეჰპირდა ქართველ საზოგადოებას წრეულს ალბომს, რომელიც მოითხოვდა დიდს ცოდნა-შრომასა და ხარჯს და ამისათვის შარშანდელივით ხელის მოწერა გამართა. მაგრამ, რადგანაც შარშანდელი ალბომი „ქართველთა ტობი“ საზოგადოებას არ მოსწონს, რის მიზეზათაც ასახელებენ, რომ „ჩვენის ქართველების სილამაზით მთელ ევროპისა და აზიის მოგზაურები განცვიფრებული არიან და განა ჩვენ-კი ვერ ვხედავთ ჩვენს თავსო და ბატონმა ივანემ თითქო განგებ აარჩია მახინჯები, ზოგი აისორსა ჰგავს, და ზოგი ბოშა ქალებსო, როდესაც საუკეთესო ტიპები უნდა აერჩიაო“, ამისთვის წრევანდელ ალბომს ველარ დაუდგა კარგი დარი, რაზედაც ორმოც-სამოცას მეტმა არ მოაწერა ხელი, რის შედეგიც იყო, რომ პატივცემულმა მოღვაწემ დროებით უკან დაიწია, ე. ი. გადასდო შემდეგისათვის მისი გამოცემა, ხოლო სამაგიეროთ განიზრახა ხელის მოწერითვე რუსულ-ქართული ენციკლოპადიური ლექსიკონის გამოცემა და გამოაცხადა კიდეც გაზეთებში. ამას მიჰყვა თან ბ. შ. დავითაშვილი, რომელიც, არა ჰრაცხს რა ჯერ-ჯერობით ენციკლოპედიურ ლექსიკონს ჩვენ ქართველებისთვის საჭიროდ, ისე როგორც თვის მიერ შედგენილს, გვპირდება საშემოდგომოთ ჩუბინაშვილისებურ ლექსიკონის გამოცემას ხელის მოწერითვე, ეს კარგი და პატიოსანი. ამაზე ასტყდა სჯა-კამათი და ზოგიერთებმა თავიანთი აზრი წარმოსთქვეს, თუმცა ზოგმა მიმკერძველობით და ზოგმა ირონიულ დაცინვით, რომელთაც, ჩემის აზრით, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მე-206-№-ში „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულმა ბ. კ. დ. ყიფიანის გულ-ახდილმა წერილმა და გულწრფელმა მოწოდებამ, სხვისა არ ვიცი, და ჩემზე კარგი შთაბეჭდილება იქონია. ბ. კ. ყიფიანი იწყებს რა თავის წერილს სათაურით: „ფრიად მძიმე საქმე და მისი შესრულება“-თი, სხვათა შორის, ამბობს, რომ „ბ. ბ. ივანე როსტომაშვილს და შ. დავითაშვილს განუზრახავთ-რა ლექსიკონების გამოცემა, ჩვენ ჯერჯეროობით მადლობის მეტი არა გვეთქმის რაო“. დიახაც რომ ასეა, მადლობისა და თანაგრძნობის მეტი რა ეკადრება იმ კაცებს, რომელთაც შეუგნია რა ახალთაობის საჭიროება, შეძლებისა და გვარად ცდილობენ დააკმაყოფილონ იგი. მაგრამ არ შეიძლება რომ ბ. კ. ყიფიანის მოწოდებასაც არ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და დარჩეს იგი „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ სამძიმოა კერძო პირებისათვის ასეთი საქმის შესრულებაო და ურჩევს პატივცემულ პირთ და საზოგადოებასაც, რომ 15—20 მცოდნე კაცისაგან შესდგეს რედაქცია, რომელსაც მიენდოს ლექსიკონის შედგენა და გამოცემაო. ამ ყოვლად პატიოსან წინადადებას, სხვისი-კი არ ვიცი და, ბ. ი. როსტომაშვილის გულწრფელობა და ყოველ საზოგადო საქმეში უანგარობა, თუმც შრომა და ხარჯი მოუვიდა მაგრამ თავდებად მიმაჩნია, რომ პატივცემული მოღვაწე არა ჰყოფს უარს და თანახმობას განაცხადებს, რითაც მოსალოდნელი იქმნება მალე რედაქციის შედგენა და, როგორც ბ. კ. ყიფიანი ამბობს, მასაც ჰქონია 14 წლის ნაშრომი თავის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული, ლათინური, ბოტანიკური ლექსიკონი, რომელსაც უსასყიდლოდ უთმობს მომავალ რედაქციას. ზემო ხსენებული პირნიც წარადგენენ თავიანთ შრომას, დაიშველიებენ კიდევ ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, ქართულ-რუსულს, რუსულ-ქართულს, ქართულ-რუსულ-ფრანგულს. რაფაელ ერისთავის ბოტანიკურს ლექსიკონს, აგრეთვე მე ვიცი რამდენიმე პირნი, რომელნიც შრომობენ ამ საგანზე, მათ შორის ერთი დაუცხრომელი მშრომელი ვინმე მეხსი გვარამაძეა, რომელსაც 14 ათასი სიტყვა შეუკრებია დაბა სოფლებში, ისეთები, რომელნიც ჩვენს ლექსიკონებში არ არის შეტანილი; მეორე პატივცემული ფარმა-

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ.

ჩინური ჭინჭრის (რამი) გამრავლება.*)

ამას წინად ჟურნალ „მეურნე“-ში იყო ლაპარაკი, რომ კახეთში მეურნეობა თან-და-თან ეცემა, სუსტდება მიუსავლობის გამო. მთელი კახეთის ყურადღება მიქცეულია მარტო ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე, მაგრამ სხვა-და-სხვა მოულოდნელ სნეულების გამო ეს ორი სასარგებლო დარგი მეურნეობისა ლამის ხელიდგან გამოეცალოთ. მე ყოველთვის ვამბობდი: მარტო მევენახობა და მეღვინობა არას გვიზამსმეთქი, დრო არის შევუდგეთ სხვა სასარგებლო მცენარეების გამრავლებას; ეხლაც ვამბობ, თუ თავისს დროზე არ ვუშველეთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას და არ მივყევით ხელი სხვა მცენარეების გამრავლებას, იცოდეთ, ადრე თუ გვიან ხელიდგან გამოგვეცლება ჩვენი ვენახები და დავრჩებით ხელცარიელები, თუმცა მაშინ ბევრსაც ვინანებთ, მაგრამ გვიანღა იქნება. ამ ჟამად ჩვენ გავაცნობთ გაზეთ „ცნ. ფურცლის“ მკითხველებს, თუ როგორ მრავლდება საბრეშუმო ჭინჭარი (რამი), რომლისაგანაც ამზადებენ მშვენიერ ძაფს და სხვა-და-სხვა ტანთ-საცმელებს.

აბრეშუმის ჭინჭარი (რამი) მცენარეც მრავალ წლოვანია, მის სამშობლოდ ითვლება ჩინეთი. ეს ჭინჭარი გარეგნობით: ღეროებით და ფოთლებით ძალიანა ჰგავს უბრალო ჭინჭარს, ოღონდ გარჩევა ის არის, რომ 1) რამი არ იკბინება ჭინჭარივით, 2) უბრალო ჭინჭარზე მაღლა იზრდება და 3) ფოთლები მსხვილია, გარედან მოთეთრო ფერსა სცემს და გარედან შემოსილია ბუსუსში. ჭინჭარი სამი ჯურისაა: 1) urtica tenacissima (ურტიკა ტენაკისსიმა;) 2) urtica nivea (ურტიკა ნივეა;) და 3) urtica sanguinea (ურტიკა სანგუნეია;) ამათში პირველ ჯურას აქვს დიდი ღირსება, ვიდრე მეორე და მესამე ჯურას. ძაფს ამზადებენ ჭინჭრის ქერქით, რომელსაც აცლიან ღეროებს და სხვა-და-სხვა საშუალებით ახვევენ ძაფს, ოღონდ დაბალი ხარისხის ძაფით ქსოვენ სათევზე ბადეს და თოკებს. ამისთანა მომზადებულ ძაფს დიდი გასავალი აქვს საზღვარ-გარეთ და შიდა რუსეთში. მარტო ჩინეთიდგან ყოველ წელიწადს მიაქვთ 22,500 ფუთამდე რამის ქერქი. აქედან ცხადათა სჩანს, რომ ამ მცენარეს უჭირავს უპირველესი ადგილი, არამც თუ მარტო ჩინეთში, არამედ საფრანგეთში და ინგლისშიაც. აბრეშუმის ჭინჭარი (რამი) იმისთანა ადვილი მოსაყვანია, რომ მისს მოყვანას არ უნდება დიდი ცოდნა, ოღონდ ნოყიერი ნიადაგი და შესაფერი ჰავა-კი უნდა ჰქონდეს, ამასთანავე სურვილი და თავის დადება ამ საქმეზე. გამოცდილებიდანა სჩანს, რომ რამი თავის სამშობლოში წელიწადში იძლევა ხუთ-ექვს მოსავალს, მაგრამ რუსეთში-კი ორიდგან დაწყებული სამამდისინ. მაშასადამე სითბოს დიდი გავლენა ჰქონია ამ მცენარეზე. რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთშიაც ადვილად გამრავლდება ეს მცენარე, რადგანაც აქაური ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობს ამ მცენარეს.

„რამის“ გამრავლება შეიძლება: თესლით, გადაწვენით, ფესვების გაყოფით და პატარა ტოტებით. თუმცა ეს მცენარე თესლითაც ადვილად მრავლდება, მაინცა და მაინც უპირატესობა უნდა მივცეთ დანარჩენ წესებს, რადგანაც დანარჩენ წესით გამრავლებული მცენარე ბევრით ადრე გვაძლევს მოსავალს.

გადაწვენით გამრავლება.

ვისაც აქვს ერთი ორიოდე მისი ჭინჭარი და ჰსურს მისი გამრავლება, მაშინ იმან ჭინჭარი მიწის პირად უნდა გადასჭრას, შემდეგ ამოიყრის ორმოციდგან სამოცამდის ყლორტებს (ტოტებს). როდესაც ტოტები გახდებიან 12 გოჯის სიმაღლის, მაშინ ამოირჩიეთ მსხვილი და გრძელი ტოტები. მათ ახლო მცენარეს გარეშემო მოთხარეთ თხრილები (არხები) ოთხი გოჯის სიღრმის, ხუთი ან ექვსი გოჯის სიგრძის. ამ თხრილებში დააწვინეთ ყლორტები, მხოლოდ გადასაწვენ ყლორტებს ფოთლები მოაშორეთ, მარტო წვერში ორიოდე ფოთოლი შეარჩინეთ. გადაწვენილი ტოტები გაამაგრეთ პატარა კაოჩებით (прочками), შემდეგ მოაყარეთ მიწა და ცოტათი დატკეპნეთ, გადაწვენილ ტოტებს წვერები ამოუზნიქეთ მაღლა. ამისთანა წესით შეიძლება მთელ ზაფხულის განმავლობაში თითო ძირიდგან მიიღოს კაცმა ასამდის მცენარე. გადაწვენილი ტოტები ერთი ორი კვირის განმავლობაში იბამს ფესვებს, ოღონდ გადაწვენილები ხშირად უნდა მოირწყას და, როცა ბალახი მოერევა, უნდა გაიმარგლოს, ან გაითოხნოს. როდესაც გადაწვენილები გაიბამენ ფესვებს, მაშინ უნდა გადარგოთ დანიშნულ ადგილას. მცენარეები უნდა დაირგას ლარზე, რიგზე, ერთი რიგი მეორე რიგს უნდა ჰშორავდეს ალაბ-ნახევრიდგან დაწყებული ორ ალაბამდის და თვით ერთი მცენარე მეორეს უნდა ჰშორავდეს ხუთი ჩარექიდან ალაბ-ნახევრამდის; რამდენათაც თავისუფლად იქნება დარგული მცენარეები, იმდენათ ყლორტები თამამად ეზრდებათ და უმწიფდებათ. მცენარეების დასარგავად სთხრიან ან არხებს ან კიდევ ორმოებს. მცენარეებს პირველ წელიწადს უნდებათ ხშირი მორწყვა, თოხნა და გარეშემო მიწის აჩვილება.

ფესვებით გამრავლება.

ფესვებით გასამრავლებლად, მცენარეს მიწიდგან იღებენ ძირიანად და ჰკაფავენ ცალკ-ცალკე, ასე რომ ერთი ძირიდან კაცს შეუძლია მიიღოს ოციდგან დაწყებული სამოცამდე ძირი. ამ ძირებს რგავენ დანიშნულს

---

*) იხილეთ გაზეთ „მეურნის“ მე-7 ნომერში.

ცევტი პ. ბურდულია, რომელსაც ვრცელი სამეცნიერო სამკურნალო ტერმინების ლექსიკონი აქვს შედგენილი, რომლის დაბეჭდვასაც ეს ორი წელიწადია ცდილობს, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ეს პატივცემულნი პირნი დიდის სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას და თავიანთ შრომას არ დაიშურებენ, თუ რედაქცია შესდგება. ამათ გარდა, ვინ იცის კიდევ, რამდენი აღმოჩნდეს, რომელნიც, შეძლებისა და გვარად, დაეხმარებიან ამ საზოგადო საქმეს და ამ ნაირად ყოვლად სრული ლექსიკონი შესდგება. აი მაშინ გამართონ ხელის მოწერა და საზოგადოებაც დიდი სიხარულით გამოუცხადებს თანაგრძნობას და მიიღებს მხურვალე მონაწილეობას, თორემ ეხლა, ხომ მოეხსენებათ, პატივცემულთ ბ. ბ. ივანე როსტომაშვილს და დავითაშვილს, რომ თუნდა თავიანთი შრომა ყოვლად სრული და აღმატებული იყოს, დიდი ფული დასჭირდება და კერძო პირისათვის აუტანელ ხარჯს მოითხოვს მათი გამოცემა. მართალია, პატივცემულნი მოღვაწენი აპირებენ ხელის მოწერის გამართვას, მაგრამ ნურც ის დაავიწყდებათ, რომ ჩვენში ამ ჟამად ისე გამრავლდნენ „ახალ მოდურნი“ ამხანაგობანი და მრავლდებიან, რომ ფეხს ვერ აუქცევ. კერძო პირთა და ამხანაგობათა ხელ-მოსაწერი სიები და კვიტანციები ხომ ყოველ ალაგს თვალწინ ეჩხირებიან კაცს, რითაც საზოგადოება ისედაც გაბეზრებულია ამ გულის გამაწვრილებელ ხელის მოწერით და ეხლა იმას ორი-სამი ხელის მოწერის მიმატება აღარ ეჭივრება. ასე რომ, როგორც ზევით მოგახსენეთ, კერძო პირნი ტყუილად იმედობენ ლექსიკონის ხელის მოწერის გამოცემაზე და თუ არ დაიშლიან, უსათუოდ ზარალს ვერ ასცდებიან. რაც შეეხება რედაქციას, მას თამამად შეუძლიან ხელის მოწერა გამართოს, რადგანაც საზოგადოება, რაც უნდა იყოს, მას მეტს თანაგრძნობას აღმოუჩენს, იმისათვის, რომ უფლებაც ექნება მეტი მოსთხოვოს მას, თუ რომ უკანასკნელი დიდ ფასს არ დაადებს. ამასთან ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ კერძო პირის ნაშრომს მაინც მეტი ნაკლი ექმნება, ვიდრე რედაქციით გამოცემულს, და ამ ნაკლს გამოსვლისათანავე საზოგადოება ისეთს ყიჟინას დასცემს, რომ მშრომელს, მადლობის მაგიერ, უსიამოვნობას მიაყენებს. ამის მაგალითს არა ერთსა და ორსა ვხედავთ ჩვენში, რასაც ბ. კ. ყიფიანიც თავის წერილის ბოლოს გულახდილად შენიშნავს: «თუ შესდგება რედაქცია და შეადგენს სრულ ლექსიკონს, თორემ სახოკიასი არ იყოს, ან ბაგაევისა, ან დავითაშვილისა, ან როსტომაშვილის'ა და თუ გნებავთ ჩემიც არ იყვეს, ყველანი სასაცილონი გამოვალთ და კი არ დაგვცინიან?» მოგეცათ სიცოცხლე, რომ დაგვცინოდნენო, დიახაც მართალია, მაგრამ საზოგადოებას მაინც ვერ გავამტყუვნებთ, აბა ერთი, თუ ღმერთი გრწამთ, მთარგმნელს რომ „სადუნი“ არ უწოდოთ, ევროპას „ენგიდუნია“, ასტრონომიას, „მუნეჯიბობა“, მინერალოგიას „ალმონათხრედი“, ფოცხვერს „თოფიხალა“, რომელნიც ხალხს შესისხლ-ხორცებული აქვს და კარგადაც ესმის უნდა ჩაის „თერმონი“ ჩაის ჭურჭელს თერმონის იარაღი პაპიროზს „გლარჯის მილი“ ჩემოდანს, „ჩანთა ტომარა ან ჩანთა ბუდე“ საერო კაცს, „წუთის-სოფლის მაყურებელი კაცი“, პალტოს „ბაბანაკი“ ან და კიდევ მოზვერს „მამალი ძროხა“,—რაში ამტყუვნებთ საზოგადოებას? თუ საზოგადოების სამსახური სურს ვისმე, ჩემის აზრით, მის სამართლიან მოთხოვნილებასაც ყური უგდონ და მაშინ, არამც თუ სასაცილოთ გახდებიან, არამედ დიდს პატივისცემასა და თანაგრძნობასაც მოიპოვებენ. ასეა თუ ისე, ამ ჟამად ლექსიკონების გამომცემელი კერძო პირები იმედია ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის სარჩიელს შეისმენენ, და ხელს აიღებენ ცალ-ცალკე ლექსიკონების გამოცემაზე; შეადგენენ რედაქციას და შეერთებულის ძალით, დააგვირგვინებენ ამ ფრიად მძიმე საქმეს, როგორც ლექსიკონის შედგენა ჲ გამოცემაა, რითაც თითონაც ასცდებიან შეცდომაში შესვლას და საზოგადოების გულწრფელ მადლობასაც მიიძღვნიან.

სპ. ჭელიძე.

⁂ **ქუთაისის მაზრა.** უწვიმობა და ამერიკის ვაზები. მთელი თვე გადის, რაც წვიმა არა ყოფილა აქეთკენ. თივის მოსავალი შარშანდელზე მდარი იყო. ნათესობა ძალიან დაიჩაგრა უწვიმობით. თუმცა ცაჲ იქურუშება, მაგრამ წვიმა-კი არსადა სჩანს.

აქაურმა მემამულემ ა. ანანოვმა დიდი ზვარი გააშენა ამერიკულის ვაზებისა ვარდციხეში. წლეულ პირველი სთველი ექმნება და ღვინის დაყენებას აპირებს ამ ყურძნიდან.

⁂ **დ. ახალ-სენაკი.** ყაჩაღობა. ჩვენ, ახალ-სენაკელები დიდ შიშსა და კანკალში ვართ ყაჩაღების გამო, რადგან ახლო-მახლო ბევრი უბედურება მოახდინეს. ერთის თვის წინად მაზრის უფროსმა დაიბარა ხალხი, მოვაჭრე და მცხოვრებლებიც, და მისცა კითხვა, რომ თქვენც თუ თანახმა იქნებით, ჩვენ მოვიყვანთ ექვს კაცს გურულებს, რომლებიც თოფიარაღში ნაქები არიანო და დავნიშნოთ ღამით ჩვენდა მცველებათო, რადგან შორი ახლოდგან კიდეც მოგვადგენ ყაჩაღები და, ვინ იცის, რა უბედურებას დაგვიტრიალებენო. ამიტომ საჭიროთ ვცნობთ, მოვიყვანოთ გურულები იმ პირობით, რომ სამი კაცის ჯამაგირი უნდა იხადოთ მოვაჭრეებმა და სამიც მცხოვრებლებმაო. ამაზედ ყველა თანახმა გახდნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით-კი არაფერი სჩანს.

ამას გარდა, ოცდა-ერთ ამა მაისს, ღამის ცხრა საათზედ, შეიქნა შუა ბაზარში რევოლვერის სროლა, რომელმაც ყველა მოვაჭრეებს შიშის ზარი დასცა. ეგონათ: ნამდვილად ყაჩაღები გვესტუმრენო, მაგრამ ბოლოს გავიგეთ, რომ ერთს აქაურს დუქანში მოქეიფეებს დაეცალათ რევოლვერი.. ნუ თუ დამბაჩის სროლაც ქალაქში დროს გატარებათ მიაჩნიათ! სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

⁂ **ბათუმი.** სავაჭრო ამხანაგობა. ეხლა ყველამ კარგად შევიგენით, თუ რა უკიდურესად დავქვეითდით ეკონომიურად ყველა ქართველები. საშინელი მტერი გვყავს შემოსეული, რომელიც კალიასავით მოსდებია ჩვენს ქვეყანას და ლამის არის ორი ათასი წლის მამა-პაპისეულ კუთვნილ მამულებზედაც ხელი აგვაღებინონ. სასტიკი, მხნე შეერთებული ბრძოლა გვინდა მათს წინაშე! ბრძოლა არა თუ მარტო წერითა და სიტყვით, არამედ საქმით; პრაქტიკულად უნდა მოვეკიდოთ ჩვენს ეკონომიურად წარმატებას; გვეყოფა ძილი, ვიმეცადინოთ, თორემ ჩვენის დაუდევრობის ნაყოფი უკვე ვიგემეთ. თუ კიდევ ასე დაუდევრობით განვაგრძეთ ცხოვრება, შეგვჭამენ და გავხდებით მაწანწალანი!

დღეს ისეთს პირობებშია ცხოვრების მიმდინარეობა, რომ რაც უნდა ძალი შეგწევდეს, რაც უნდა ნიჭი გქონდეს და ბეჯითი შრომით მეცადინეობდე, თუ კაპიტალი არა გაქვს, არ ვარგხარ, ვერაფერს შეიძლებ!.. ასეა საზოგადო ცხოვრებაც. ის ერი, რომელი ერიც ეკონომიურად დაქვეითებულია, დღეს აღარ ერობს.

ასეთი უბედურება გვაქვს დღეს კარზე მომდგარი, რომელსაც ბრძოლა უნდა, ბრძოლა ეკონომიური და არა „მამა-პაპური“. წავიდა ის დრო, როდესაც სისხლით ვიცავდით სამშობლოს; მაშინ ბრძოლა მტერთან უფრო ძნელი იყო, რადგანაც ჩვენ ვწირავდით მამულს ჩვენსავე სიცოცხლეს, რომელიც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასია. დღეს-კი შეერთებული მეცადინეობა გვინდა ჩვენსავე საკეთილ-დღეოდ, რომელსაც მსხვერპლი არ სჭირია, არამედ შეერთებული, ძმური შრომაა საჭირო.

ძლიერ სასურველია, ჩვენმა მოთავეებმა და გავლენიანმა პირებმა შეადგინონ სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობები და, რაც შეიძლება, ერთგულად მოეკიდონ ასეთს სასარგებლო საქმეს, რომ ჩქარა დაგვირგვინდეს, თორემ საქმის სახვალიოდ გადადება არაფერი სასარგებლოა.

აგრეთვე ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა მიაქციონ უპირველესი ყურადღება ჩვენს ეკონომიურს მხარეს და გაგვიკვლიონ, თუ როგორ, რა გეგმით შეიძლება ასეთის ამხანაგობების დაარსება.

მე აქ მინდა ერთი ჩემი აზრიც გავუზიარო პატივცემულ საზოგადოებას. ავიღოთ, მაგალითად, ქალაქი ბათომი. აქ, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, ასე ასი ეტლი და ასი, თუ მეტი არა, საბარგო მარხილები (დროგები) ქართველებს ეკუთვნის. საერთოდ ყველას ხუთას-ექვსასი ცხენი ეყოლებათ. რამდენი თივა და ქერი მოუნდება ამდენს ცხენს დღეში? და თვითონ მეეტლეებსაც აუცილებლად ხომ სანოვაგე სჭირია. რომ ვიანგარიშოთ, თითო ეტლის პატრონი დღეში, ცოტა რომ ვსთქვათ, აბაზს მოგებას მისცემს მოვაჭრეებს. ავიღოთ ორასი აბაზი=40 მ. მოსაგებია დღეშია. თითო ეტლზე რომ ხუთ-ხუთი მანათი საწევრო ფული გამოიღონ, გახდება 200×5=1000 მან.; სხვა გარეშე პირებიც, უეჭველია, ჩაეწერებიან წევრად ასი მაინც, მეტი თუ არა, 5 ჯერ 100=500 მ. სულ 1500 მან. ამ ფულით შეიძლება პირველად ვაჭრობის დაწყება. ეს წელიწადში შემდეგს მოგებას მოგვცემს. ვიანგარიშოთ მარტო 200 წევრის მოსაგები დღეში 40 მ., წელიწადში 365×40 მ.=14,600 მ., აქედგან ფულის %, სახლის ქირა და ვაჭრობის გამგეობას 6000 მ., დარჩა წმინდა მოსაგები 8600 მ., აქედგან მიემატება თანხას ფული, სადაც შემდეგს წლებში მოსაგებიც იმატებს. შესანიშნავი ამ ამხანაგობისა ის იქნება კიდევ, რომ აქ წევრნი იქნებიან თვითონვე მყიდველნი და ამ შემთხვევაში „კონკურენცია“ შეუძლებელია. ვაჭრობა ნაღდ ფულზე იქნება, რადგან მეეტლეების მოხელეობა ისეთია, რომ სანისიოთ არაფერი სჭირიათ. ამასთანავე უნდა შევნიშნო კიდევ, რომ ასეთი სავაჭროები დღეს აქ ბათომში რაც მეეტლეებს სჭირიათ ხორაგეულობა, თივა, ქერი და სხვა, ყველა სომხების ხელშია და ეს

ადგილას იმავე წესით, როგორც იყო ზემოთ ნათქვამი. რაც შეეხება მორწყვას, თოხნას და გარეშემო მიწის აჩვილებას, უნდა გავიმეოროთ, როდესაც მოითხოვს მიწა. ამისთანა ფესვები ორ კვირაზე ხარობს და მიწიდგან ამოიყრის ხოლმე მრავალ ტოტებს. შემდეგში მოიქეცით ისე, როგორც იყო ნათქვამი გადაწვენით გამრავლებაზე.

ტოტებით გამრავლება.

ტოტებით გასამრავლებლად გათამამებულ მცენარისგან სჭრიან გათამამებულ ტოტებს, ოთხ ვერშოკის სიგრძეზე ფოთლებს აცლიან, ოღონდ არჩენენ მიწას ზემოთ ორიოდე ფოთოლს, ამისთანა ტოტებს რგავენ კარგათ მომზადებულს კვლებში, დარგვის დღიდგანვე ტოტები დღეში ორჯელ უნდა მოირწყას—დილით და საღამოთი. დიდ სიცხეში, ტოტები ზემოდგან დაჩრდილეთ, რომ სიცხემ არ დააჭკნოს ან არ გაახმოს. ორ კვირაზედ ტოტები უშვებენ ფესვებს, შემდეგ შეიძლება გადაირგას ცალკ-ცალკე დანიშნულს ადგილას, იმავე წესით, როგორც იყო ნათქვამი ზემოთ. მორწყვა, თოხნა, გარეშემო მიწის აჩვილება უნდა გაიმეოროთ დრო-გამოშვებით, როდესაც მოითხოვს მიწა. პირველ წელიწადს დარგული ჰინჯარი სიმაღლით იზრდება სამ ალაბამდინ, ოღონდ მას პირველ წელიწადს არა სჭრიან მიწის პირათ, მხოლოდ მეორე წელიწადს-კი უნდა გადასჭრათ მიწის პირათ ქერქის მისაღებად. ჰინჯრის გადაჭრის დრო ორ-ნაირია. ვისაც ჰსურს მიიღოს ცოტა და საუკეთესო ხარისხის ქერქი (ВОЛОКНО), იმან ყლორტები უნდა გადასჭრას მიწის პირათ იმ დროს, როდესაც ტოტები გაიზრდებიან ალაბ ნახევარის სიმაღლით, ვიდრე აყვავდება მცენარე, და ვისაც ჰსურს მიიღოს ბევრი და უვარგისი ხარისხის ქერქი, იმან ტოტები უნდა გადასჭრას იმ დროს, როდესაც ტოტები გახდებიან სიმაღლით ორიდგან სამ ალაბამდე და როდესაც ყლორტები გახდებიან მუქი წაბლის ფერისა. გადაჭრილი მზეზე უნდა გაახმოთ; გახმობა წესიერი უნდა იყოს, რადგანაც ქერქის ღირსება გახმობაზე არის დამოკიდებული. გამოცდილება გვიმტკიცებს, თუ გახმობის დროს ტოტები იღებენ მოყვითალო წაბლის ფერს, მაშინ ქერქი გამოდის მაღალი ხარისხისა. და თუ ტოტები იღებენ მუქი წაბლის ფერსა, მაშინ ქერქი დგება დაბალი ხარისხისა. გასახმობ ტოტებს გადაშლიან ხოლმე მიწაზე, მზის შუქზე, ოღონდ ყლორტები დრო-გამოშვებით უნდა დააბრუნოთ, რომ ტოტები არ დალბეს და არ დალპეს. ჩემის აზრით, ტოტების გახმობა მზეზე სჯობია, ე. ი. მიაყუდეთ ან ღობეს ან კედელს ან კიდევ სარიხალს, ან რასმე სხვას, ოღონდ მიწაზე ნუ დადებთ. ფეხზე დგომით გახმობა მით არის კარგი, რომ ტოტებს გარეშემო ერთ ნაირად უდგება მზე, რის გამოც არ იზრდება და არც ლპება. ამ წესით გამხმარ ყლორტებს ხელით ან მანქანებით აცლიან ქერქს, ხელით ქერქის მოშორება ესე უნდა: აიღეთ გამხმარი ტოტები, გახეთქეთ სიგრძეზე ან კიდევ რამდენსამე ადგილას გადაამტვრიეთ ტოტი, მერე ადვილად გააცალეთ ქერქი, შემდეგ ისევ ის გაახმეთ რამდენიმე დღე მზეზედ, მერე დილა ადრიანად, ვიდრე ნამი შეშრებოდეს, აიღეთ ტოტები, ისევ გააცალეთ ქერქი, ესე გაიმეორეთ, ვიდრე მოაშორებდეთ ქერქს. როდესაც გაათავებთ ტოტების გადაქერქვას, მაშინ ქერქი მოაგროვეთ ერთს ადგილას, რამდენიმე დღით დაყარეთ მწვანე ბალახზე, რომ ქერქს მიეცეს ფერი. ასე მომზადებული მასალა გადააქვთ ევროპაში, სადაც სხვა-დასხვა მანქანების შემწეობით ამზადებენ მშვენიერს ძაფს და ჰქსოვენ ტანთსაცმელებს.

აქ საჭიროთ ვცან ვსთქვა ორიოდე სიტყვა ჩემის გამოცდილებიდან. 1884 წ. ჩემს სამსახურის დროს ქართლში თ. ივანე მუხრანსკიმ მთხოვა: ჩემს მამულში ჰინჯარი „რამი“ მოაშენეო. ჩემთვის, როგორც ახალი საქმე, დიდად სასიამოვნო იყო ამისთანა სასარგებლო მცენარის გამრავლება. მე, რასაკვირველია, დავთანხმდი მუხრან ბატონს. დიდი ხანი არ გავიდა, მუხრანსკიმ სამეგრელოდგან თ. მენგრელსკისაგან გამოიწერა ათ ფუთამდე ჰინჯრის „რამის“ თესლები. ჰინჯრის დასარგავი ადგილი შემოდგომაზე დავხანი გუთნით, გაზაფხულზე ადგილი დავფარცხე და დავრგე იმ წესით, როგორც ზემოთა მქონდა ნათქვამი. პირველ წელიწადს მარტო ვამრავლე: გადაწვენილ ტოტებით და ფესვებით. მეორე წელიწადს ჰინჯარმა სამჯერ მომცა მოსავალი, მიწის პირათ გადავსჭერი ტოტები გავახმე, გავაცალე ქერქი, ერთი სიტყვით, მოვიქეცი ისე, როგორც მაქვს ნათქვამი დარიგებაში. როდესაც საქმე გავათავე, მაშინ მეწვია ვიღაც ფრანგი და იმან იყიდა ჰინჯრის ქერქი რაც რომ მქონდა, თანაც მითხრა: ათასი ფუთი რომ გქონდესო, ეხლავე გაგისაღებდიო. იმ ფრანგმა ეს ქერქი გაგზავნა საფრანგეთში ძაფის მოსამზადებელ ფაბრიკაში. იმავე ფრანგმა მაჩვენა მრავალი ძაფები და მოქსოვილები ჰინჯრის ძაფისაგან ჲ მართლაც რომ გასაოცარი რამ იყო. აქედანა სჩანს, რომ ამ ჰინჯარს, როგორც საფრანგეთში, ისე სხვა-და-სხვა სამზღვარგარეთ ქვეყნებში ჰქონია და კიდევაცა აქვს დიდი გასავალი და მოთხოვნილება. და თუ ჩვენის საქართველოს ხალხმაც მიჰყო ხელი ამ ჰინჯრის გამრავლებას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენც მოგვნახავენ და ხელიდგან დაგვტაცებენ ჩვენს მოყვანილ რამს...

ბაღოსანი ა. დარეჯანაშვილი.

ჩვენი მოგებული ფული მათს ჯიბეში ჩადის.

ამასთანავე ვსთხოვ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისათვის, ეცადონ, მისცენ ერთმანერთს ძმურად ხელი და დავიწყოთ საერთოდ საქმე.

გლეხი ერმალოზ გოგოლესუბნელი.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წლიური კრება.

27 მაისი.

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე; თავდაპირველად წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი, რომელიც შეუცვლელად ერთხმად დაამტკიცა კრებამ.

შემდეგ ბანკის სხვა-და-სხვა მოხელეთა არჩევას შეუდგნენ: ასისტენტებად და მოწმებად არჩეულ იქმნენ:

თავ. გ. ი. ჯამბაკურ ორბელიანი, არ. ბებუთოვი, პოლ. კ. ბ. ჭილაევი, თავ. ი. თარხნიშვილი, ფ. ამილახოვი, დ. აბულაშვილი, ნ. ს. რაჭიშვილი, კ. კ. ხერხეულიძე და გ. გ. ქართველიშვილი.

ნაშუადღევის ოთხს საათზე გათავდა კენჭის ყრა. შეუდგნენ მათს თვლას და შემდეგი აღმოჩნდა: არჩეულ იქმნენ: ბანკის გამგეობის თავჯდომარედ თავ. ი. გ. ჭავჭავაძე (433 თეთრი 22 შავი), ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: უგანათლებულესი თავადი პ. ა. გრუზინსკი (442—13); ლ. გ. ჯანდიერი (428—26); პ. ი. ყიფიანი (402—53); თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი (424—31); გ. დ. ქურული (402—53); თავ. რაფ. დ. ერისთავი (385—70); ი. ზ. ჩოლოყაშვილი (421—34); ა. ს. ლეონიძე (333—122); ს. რ. ვახვახიშვილი (388—67) და ვ. გ. მაყაშვილი (362—93); დამფასებელ კომისიის წევრებად: კ. ნ. ფურცელაძე (407—48) და გამგეობის წევრების კანდიდატებად: თავ. ა. რ. ვახვახიშვილი (411—44) და თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი (419—36).

ბოლოს თავმჯდომარემ კრება დახურა, კრებამ მას მადლობა გამოუცხადა პატივის-ცემისათვის და დაიშალნენ.

ქართული დრამატიული საზოგადოება.

26 აპრილს დანიშნული იყო დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო იგი კრება ვერ შესდგა და მეორედ 28 მაისისათვის იქმნა დანიშნული, ე. ი. სადღეისოდ; თანახმად წესდებისა ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, თუნდაც რომ კრებას სულ ათი წევრიც არ დაესწროს.

დღეს „საზოგადოება" მოისმენს გამგეობის მოხსენებას თვისი მოქმედების შესახებ და ამ კრებაზედვე ამორჩეულ უნდა იქმნენ რამდენიმე წევრნი გამგეობისა, ნაცვლად ზოგიერთებისა, რომელნიც ვადამდის სამსახურს თავს ანებებენ.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ჯერ არ შეუთვისებია ის ცუდი ჩვეულება სხვა დაწესებულებათა, რომ ანგარიში წინადვე დაბეჭდოს ხოლმე,—თუმცა წარსულს კრებაზედ ეს დაავალეს კიდეც,— და ამიტომ ჩვენ არ ვიცით, გამგეობა რას მოახსენებს საზოგადოებას და რას დასკვნის იგი ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ, ხოლო ის-კი კარგად ვიცით, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრას და უფრო მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს ასეთის სასარგებლო და სიმპატიურის დაწესებულების მომავლისათვის, როგორიც არის „ქართული დრამატიული საზოგადოება".

ეხლა-კი, ჯერ-ჯერობით, „საზოგადოების მდგომარეობა უნუგეშოდ უნდა ჩაითვალოს: გამგეობამ წარსული სათეატრო სეზონი არა ჩვეულებრივის და საგრძნობელის დეფიციტით დააბოლოვა, ხარჯმა შემოსავალს 6000 მანათამდე გადააჭარბა და 1000 მანათამდე ვალიც დაიდვა.

„დრამატიულ საზოგადოების" წესდების თანხმად, ყოველ წელს, შემოდგომაზედ, ვიდრე სათეატრო სეზონი დაიწყება, გამგეობამ უნდა მოიწვიოს საზოგადოების წევრნი მორიგს საზოგადო კრებაზედ და თავისი მოქმედების ანგარიშთან ერთად მომავალი წლისათვისაც ხარჯთ-აღრიცხვაც უნდა წარუდგინოს. ეს მუხლი წესდებისა წარსულს წელს შესრულებული არ იქმნა, მორიგს კრებაზედ საზოგადოების წევრნი მიწვეულნი არ იყვნენ, მომავალის სეზონისათვის ხარჯთ აღრიცხვა საზოგადოების მიერ დამტკიცებული არ იქმნა. გამგეობამ საზოგადოების ნება დაურთველად 189⁶/₇ წლის სეზონში ანტრეპრიზა აიღო და ქართული წარმოდგენების მართვა იკისრა, მაგრამ იმოდენა უნარი და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, რომ საქმე წესიერად, რიგზედ მოეწყო. მთელი სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამოდენიმე ახალი პიესა; დასის განახლების და ნიჭიერის არტისტებით გაძლიერების მაგიერ, გამგეობამ ისიც ვერ შეიძლო, რომ დასში მიეწვია ზოგიერთი ცნობილი არტისტი, რომელნიც წინა წლებში წარმატებით მოღვაწეობდნენ და ამშვენებდნენ ქართულს სცენას. ამას გარდა, წარსულს სეზონში გამგეობამ კარგად ვერ აწონ-დასწონა თავისი ძალღონე და განიზრახა ქუთაისის სათეატრო კომისიას დახმარებოდა: საუკეთესო არტისტები ტფილისის დასისა, და უფრო ხშირად რეჟისორიც იგზავნებოდნენ ქუთაისს ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ტფილისში-კი იოლად უნდა წასულიყვნენ ხოლმე დანარჩენი არტისტებით, ბევრჯელ ურეჟისსოროდ, ამიტომაც მუდამ უთავ-ბოლობა და უწესოება სუფევდა ჩვენს დასში. შედეგი ყოველი ამისა იმაში გამოიხატა, რომ თეატრის დარბაზი მუდამ ცარიელი იყო, წარმოდგენების შემოსავალმა დაჰფარა ერთი ნაწილი საზოგადო ხარჯისა—არტისტების ჯამაგირი.

შესაძლებელია, რომ ახალმა თეატრმა და ოპერამ ქართულს თეატრს ცოტა მაყურებელი მოაკლო, შესაძლებელია ისიც, რომ ზოგიერთი ნაკლულევანება სათავად-აზნაურო თეატრისა აფრთხობს ზოგიერთ ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, მაგრამ სრულს ჭეშმარიტებად უნდა აღვიაროთ ისიც, რომ ჩვენს თეატრს არ შეუძლიან მიიზიდოს საზოგადოება, თუ წარმოდგენები ისე იქნება გამართული, როგორც ამ ბოლო დროს იმართებოდა, განსაკუთრებით წარსულს სეზონში. და აი რატომ.. არც დასი გვყავს გაწვრთვნილი, არც რეპერტუარი გვაქვს შემუშავებული და ამ ორს საგანს ხომ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის სცენის წარმატებისთვის. ძველი და ნიჭიერი არტისტები თითქოს ერთს წერტილზედ დადგნენო, მათს ნიჭს წარმატება არ ეტყობა; ახალი და ახალ-გაზრდა არტისტები-კი თუმცა ძველებურ ნიჭის კვალობაზედ ძალიან უკან ჩამორჩებიან, არტისტიულს თავხედობაში და ჭირვეულობაში გადააჭარბეს ძველებს, ყველას თავისი თავი გამოჩენილ არტისტათ მოაქვს, ყოველი მათგანი ისე თამაშობს, როგორც სურს და უფრო-კი მოუფიქრებლად, ერთგვარად და შაბლონით, სრულის ანსამბლით, წყობრად და გემოვნებით შესრულებულის პიესის ნახვა ჩვენს სცენაზედ იშვიათი მოვლენაა. მაგრამ რეჟისსორის და საქმის გამგეთა მოვალეობაა, აგრძნობინონ არტისტებს მათი მოვალეობა, რეჟისსორის ხელშია არტისტების გაწვრთვნა და ამიტომ კიდევ შევიძლებდით მოვრიგებულიყავით გამგეობასთან და დავთანხმებულიყავით ეხლანდელს არტისტებისაგან შემდგარს დასზედ, რეპერტუარი მაინც რომ უფრო გონივრულად და მეტის გემოვნებით ყოფილიყოს შემდგარი და ძველის-ძველი პიესების მაგიერ ამ დროის სასცენო რეპერტუარიდგან რომ იყოს შედგენილი. დღეს-კი, როგორც ზევითაცა ვსთქვით, მთელი სეზონის განმავლობაში 5—8 ახალს პიესას წარმოადგენენ ხოლმე, სხვა პიესები-კი სულ ძველია, ათასჯერ წარმოდგენილი, მომეტებულს შემთხვევაში უმნიშვნელო ფარსები და უაზრო მელო-დრამები. მართალია, კრიტიკა ადვილი საქმეა, მეტადრე ადვილია საყვედურის და სამდურავის გამოთქმა, მაგრამ ჩვენ აქ არ გვინდა არც საყვედურის გამოთქმა, არც კილვა ვისიმე, ჩვენ გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა ის, რომ დრამატიულ საზოგადოების აწინდელმა გამგეობამ კიდევ ერთხელ და ბრწყინვალეთ დაგვიმტკიცა და გვიჩვენა, რომ ის გზა, რომელზედაც „ჩვენი დრამატიული საზოგადოება" სდგას, არ ვარგა ჩვენთვის და სხვა გზას უნდა დავადგეთ.

საზოგადოების წევრი.

თეატრის მატიანე.

საოპერეტო წარმოდგენა. ორშაბათს, 26 მაისს, საზაფხულო თეატრში, რუსულმა საოპერეტო დასმა ითამაშა სამ-მოქმედებიანი ოპერეტი ცელლერისა „ჩიტების გამყიდველნი", ნიჭიერის მომღერლის ბ. რეზუნოვის საბენეფისოდ. როგორც მოსალოდნელიც იყო, წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, რადგან მონაწილეობას იღებდნენ ქ.ქ. ჩოსნოვსკისა, შერი და ბ. რეზუნოვი, რომელთა დახელოვნებულს სიმღერას დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა. სამსავე საჩუქრები მიართვეს და ხანგრძლივის ტაშის-ცემითა და „ვაშა"-თი დააჯილდოვეს. ღირსნიც იყვნენ. ხალხი დიდძალი დაესწრო.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისისა გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ., მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის" რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) და **უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება
ქართულ-რუსულ-ფრანგული
ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 10 მან.
მსურველმა მოიკითხოს „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.
ლექსიკონი გამოცემულია პეტერბურგში 1840 წ. და დაჯილდოვებულია დემიდოვის პრემიით.

(10—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ დამატებითი არჩევანები ხმოსნებისა, 1897—1901 წლებისთვის, მოხდება კვირას, 1 თიბათვეს ამა წლისა, დილის 8 საათზე, საარჩევნო კრებაზე, რომელიც დანიშნულია „ტფილისის საკრებულოს" (სობრანიის) საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზედ, თაიროვის ბაღში.

კენჭი შეუძლიანთ იყარონ როგორც იმათ, ვინც გამოაცხადა სურვილი ხმოსნობისა 18 მაისამდე და არ იყვნენ არჩეულნი, გარდა იმათი, ვინც უარი განაცხადეს, აგრეთვე იმათ, ვინც გამოაცხადებს ხმოსნობის სურვილს დამატებითს არჩევანებამდე, ე. ი. 1 თიბათვემდე 1897 წლისა.

(3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 28 მაისს, ამა 1897 წლისა, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქალაქის გამგეობის სახლში, ერევნის მოედანზედ მოხდება ვაჭრობა ქალაქის ქუჩების და მოედნების ნავთით განათების იჯარაზედ. ვადა იჯარისა 2 წლიწადი, 4 თიბათვიდამ 1897 წლისა.

იჯარის პირობები შეიძლება მსურველმა შეიტყოს გამგეობის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა უქმეებისა, 11 საათიდამ 1 საათამდე.

(3—3)

Учебикъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. **М. Насидзе.**
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. магаз. „Общества распостр. грам.".

(10—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.